ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:№97. 9723027001
თარიღი:27/01/2023

ბიუროს სხდომის ოქმი N-01

დ. ლენტეხი. 26/ იანვარი/2023წ

მიმდინარე წლის 26 იანვარს დღის 12 საათზე გაიმართა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა. სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა. სხდომას ესწრებოდა საკრებულოს ბიუროს 13 (ცამეტი) წევრი. საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა ბიუროს 4 (ოთხი)

მოწვეული სტუმრებიდან სხდომას ესწრებოდნენ: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი, ადმინისტრაციის სამსახურის უფროსი სოზარ ბენდელიანი, იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე და არქიტექტურის, ინფრასტრუქტურის და ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოადგილე დემური ლიპარტელიანი..

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცება.

/მომხს. გ. გაზდელიანი/

2. სხვადასხვა.

დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

ღია კენჭისყრის შედეგით მომხრე -13

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ბიუროს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა ბიუროს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1.ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი სამსახურის უფროსი ხათუნა ლიპარტელიანი/

/თანამომხსენებელი საკრებულოს სოც. საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ონიანი/

2. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე უსახელო მწვერვალისთვის (გეოგრაფიული კოორდინატები: ჩრდილოეთ განედის 42^0. 45. 30″ და აღმოსავლეთ გრძედის 43^0.00.03′′ სიმაღლე ზღვის დონიდან 2606მ) საქართველოს ეროვნული გმირის ალეკო ონიანის სახელის მინიჭების შესახებ.

/მომხსენებელი საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე სოსო ავალიანი/

3.,,2023 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების,საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N-24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი მერიის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსი სოზარ ბენდელიანი/

4.,,2023 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების,საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ლამზირა გუგავა/

5. ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფ. ჩუკულის ერთ-ერთი უბნის ლეკუმბასტში მცხოვრებ მოქალაქეთა გახცხადება ლეკუმბასტის ცალკე დასახლებად გამოყოფის თაობაზე.

/მომხსენებელი საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დავით პირველი/

6.სოფ. ტვიბში მდინარე მუხრას კალაპოტის დაცვის მიზნით რკინა-ბეტონის დეზების მოწყობის და კალაპოტის გაწმენდის სამუშაოების პროექტის მოწონების თაობაზე.

/ მომხსენებელი მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურის და ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოადგილე დემური ლიპარტელიანი.

თანამომხსენებელი საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიიის თავმჯდომარე სოსო ავალიანი/

7.ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გაზდელიანი/

8. სხვადასხვა.

დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა. დაიწყო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა.

1. მოისმინეს: მერიის სოციალური დაცვის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სამსახურის უფროსმა ხათუნა ლიპარტელიანმა წარმოადგინა დადგენილების პროექტი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ. მომხსენებელმა დაწვრილებით განმარტა აღნიშნული წესის ყველა მუხლი. აღნიშნა, რომ გუბერნიიდან იყო შენიშვნა და ეს შენიშვნა გათვალისწინებული იქნა. კერძოდ მრავალშვილიან ოჯახებად ჩაიწერა 18 წლამდე ასაკის სამშვილიანი ოჯახები.

ბიუროს წევრებმა სეკითხვები დაუსვეს მომხსენებელს.

მომხსენებელმა პასუხი გასცა ყველა შეკითხვას.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა მომხსენებელს და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი სოციალური დახმარების გაცემის წესი ნამდვილად მორგებულია ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებზე.

ღია კენჭისყრის შედეგით მომხრე -13

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დადგენილების პროექტი - სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ გატანილი იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე დასამტკიცებლად.

2.მოისმინეს: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ სოსო ავალიანმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე უსახელო მწვერვალისთვის (გეოგრაფიული კოორდინატები: ჩრდილოეთ განედის 42^{0}. 45. 30″ და აღმოსავლეთ გრძედის 43^{0}.00.03′′ სიმაღლე ზღვის დონიდან 2606მ) საქართველოს

ეროვნული გმირის ალეკო ონიანის სახელის მინიჭების შესახებ.

ბიუროს წევრებმა ერთხმად მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ პროექტს და გადაწყვიტეს: საკითხი წარმოდგენილი სახით გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

3. მოისმინეს: მერიის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსმა სოზარ ბენდელიანმა ბიუროს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე უსახელო მწვერვალისთვის (გეოგრაფიული კოორდინატები: ჩრდილოეთ განედის 42^0. 45. 30″ და აღმოსავლეთ გრძედის 43^0.00.03'' სიმაღლე ზღვის დონიდან 2606მ) საქართველოს ეროვნული გმირის ალეკო ონიანის სახელის მინიჭების შესახებ.

მომხსენებელმა განმარტა, რომ მთავრობის ადმინისტრაციის ზედამხედველობის სამსახურის სამართლებრივი შენიშვნების გათვალისწინებით გასწორდა თანამდებობრივი სარგოები. კერძოდ მეორე კატეგორიის უფროს სპეციალისტებს მივუყენეთ მე-7 კატეგორია და სახელფასო სარგო იქნება 1452 ლარი, ხოლო განყოფილების უფროსებს მე-6 კატეგორია.

აზრი გამოთქვა: გიორგი გაზდელიანმა აღნიშნა, რომ მისაღებია მერიის მიერ წარმოდგენილი თანამდებობრივი სარგოები და ამ მიმართულებით ვეთანხმებით. რაც შეეხება მერიის სტრუქტურას გვაქვს შეკითხვები.

აზრი გამოთქვა; საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მევლუდ ლიპარტელიანმა - კითხვა გვაქვ სტრუქტურასთან დაკავშირებით, კერძოდ გაურკვეველია, სოციალურ სამსახურში რატომ ემატება განყოფილება. კერძოდ არის მთავარი სპეციალისტი და ეს შტატი უნდა შეიცვალოს განყოფილების უფროსის შტატით, რაც ნამდვილად მიუღებელია. ასევე შეკითხვები გვაქვს ინფრასტრუქტურის სამსახურის გაყოფაზეც. რამდენად შესაბამისობაშია ეს საკითხი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 156-ე მუხლთან .

იურდიული სამსახურის უფროსმა ტარიელ აფაქიძემ წარმოადგინა განმარტებითი ბარათი ახალი სამსახურების შექმნის თაობაზე.

მევლუდ ლიპარტელიანმა აღნიშნა, თუ არის აუცილებლობა ზედამხედველობის სამსახურის ცალკე გამოყოფის, მაშინ ეს განყოფილება შევუერთოთ ეკონომიკის სამსახურს, რატომ არის აუცილებლობა ახალი სამსახურის შექმნის?

იურიდიული სამსახურის უფროსმა ტარიელ აფაქიძემ პასუხად აღნიშნა, რომ აღნიშნულ განყოფილებას აქვს ძალიან ბევრი სამუშაო და უმჯობესია გაიხსნას სამსახური.

საფინანსო სამსახურის უფროსმა ტახუ ჩანქსელიანმა აღნიშნა, რომ უპირველეს ყოვლისა აღნიშნულ სამსახურში არის ინტერესთა კონფლიქტი და ეს პრობლემა უნდა აღმოიფხვრას .

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მარეხი ონიანმა აღნიშნა, რომ შეიძლება ამ პრობლემის მოგვარება, ეკონომიკის სამსახურში გადადვიდეს აღნიშნული განყოფილება, მით უმეტეს, რომ არის კადრების ზედმეტობა.

აზრი გამოთქვა: გიორგი გაზდელიანმა - რადგანაც ეს საკითხი ექვემდებარება დაწვრილებით შესწავლას , დაევალოს საკრებულოს ყველა კომისიას და ფრაქციას განიხილონ აღნიშნული საკითხი და დადონ დასკვნა ახალი სამსახურის შექმნის აუცილებლობაზე.

4. მოისმინეს: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ლამზირა გუგავამ ბიუროს წევრებს გააცნო საკითხი - .,,2023 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების,საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა

ღია კენჭისყრით:

მომხრე -1 3

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: საკითხი წარმოდგენილი სახით გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე

დასამტკიცებლად.

5. მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ დავით პირველმა აღნიშნა, რომ დაეწერა საკითი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფ. ჩუკულის ერთ-ერთი უბნის ლეკუმბასტში მცხოვრებ მოქალაქეთა განცხადება ლეკუმბასტის ცალკე დასახლებად გამოყოფის თაობაზე და მისთვის ადმინისტრაციული ერთეულის სტატუსის მინიჭების შესახებ.

ამ საკითხის გადაწყვეტას არეგულირებს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-4-ე მუხლის მეორე პუნქტში მითითებული ,,დასახლების შექმნისა და გაუქმების დასახლებისთვის შესაბამისი კატეგორიის მინიჭებისა და შეცვლის, აგრეთვე დასახლების ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის" წესი. ამ წესის მიხედვით მერიამ უნდა უზრუნველყოს ლეკუმბასტისა და ჩუკულის მოსახლეობასთან საკონსულტაციო შეხვედრის ორგანიზება. ამ შეხვედრაზე უნდა დაფიქსირდეს და დაოქმდეს ორივე მხარის თანხმობა. ოქმში უნდა ჩაიწეროს არგუმენტირებული მოტივაცია აღნიშნულ საკითხზე. ამ პროცედურების გავლის შემდეგ საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომაზე მოხდება საკითხის განხილვა და საკრებულოს სხდომისთვის მომზადება.

გადაწყვიტეს: გაეგზავნოს მერიას აღნიშნული საკითხი შემდგომი რეაგირებისთვის.

6. მოისმინეს: მერიის არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის მოადგილემ დემური ლიპარტელიანმა ბიუროს წევრებს გააცნო საკითხი ,,სოფელ ტვიბში მდინარე მუხრას კალაპოტის დაცვის მიზნით რკინა ბეტონის დეზების მოწყობის და კალაპოტის გაწმენდის სამუშაოების პროექტის მოწონების თაობაზე".

გადაწყვიტეს: საკითხი - ,,სოფელ ტვიბში მდინარე მუხრას კალაპოტის დაცვის მიზნით რკინა ბეტონის დეზების მოწყობის და კალაპოტის გაწმენდის სამუშაოების პროექტის მოწონების თაობაზე" გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე მოსაწონებლად.

7. სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა აღნიშნა, რომ მომზადებულია საკრებულოს სამუშაო გეგმა , რომელიც უნდა დამტკიცდეს საკრებულოს სხდომაზე.

გადაწყვიტეს: საკრებულოს სამუშაო გეგმა გავიდეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ დააყენა საკითხი საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ

მომხრე -13

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1.ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი სამსახურის უფროსი ხათუნა ლიპარტელიანი/

/თანამომხსენებელი საკრებულოს სოც. საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ონიანი/

2. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე უსახელო მწვერვალისთვის (გეოგრაფიული კოორდინატები: ჩრდილოეთ განედის 42^0. 45. 30″ და აღმოსავლეთ გრძედის 43^0.00.03'' სიმაღლე ზღვის დონიდან 2606მ) საქართველოს ეროვნული გმირის ალეკო ონიანის სახელის მინიჭების შესახებ.

/მომხსენებელი საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე სოსო ავალიანი/

3.,,2023 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების,საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N-24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი მერიის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსი სოზარ ბენდელიანი/

4.,,2023 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების,საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ლამზირა გუგავა/

5.სოფ. ტვიბში მდინარე მუხრას კალაპოტის დაცვის მიზნით რკინა-ბეტონის დეზების მოწყობის და კალაპოტის გაწმენდის სამუშაოების პროექტის მოწონების თაობაზე.

/ მომხსენებელი მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურის და ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოადგილე დემური ლიპარტელიანი.

თანამომხსენებელი საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე სოსო ავალიანი/

6.ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გაზდელიანი/

7. სხვადასხვა.

ბიუროს სხდომის ბოლოს ბიუროს თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა აღნიშნა, რომ საკრებულოს მორიგი სხდომა ჩატარდება 31 იანვარს დღის 12 საათზე.

სხვა წინადადება არ ყოფილა.

გადაწყვიტეს: საკრებულოს მორიგი N-01 სხდომა გაიმართოს 31 იანვარს 12 საათზე.

ბიუროს სხდომა დამთავრდა 14 საათზე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი